

26 Σεπτεμβρίου 2023

წმინდა ქეთევან (Γεωργιανά, Georgian)

Ορθοδοξία και Ορθοπραξία / Συναξαριακές Μορφές / ქართულ ენაზე





ნძინა ლილმონაძე ლულიფალი ჭურუანი

(ცხოვრება და მოღვაწობა)

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ
ლვთის განგმბულებით ყოვლად-
წმინდა ლვთისმშობელი მოციქუ-
ლებთან ერთად ირჩევს რომელი
ქვეყანა უნდა გაანათლოს ჭეშმა-
რიტი სარწმუნოებით; დედა ლვთი-
სას ივერია ხვდება წილად. იქიდან
მოყოლებული ყოვლად-წმინდა
ლვთისმშობელი ზრუნავს თავისი
წილხვდომი სამწყსოს დაცვისა და
განათლებისთვის; როცდ ქართველ
ხალხში რწმენა მცირდებოდა
სწორედ ლვთისმშობლის მეოხებით
გამოაჩენდა უფალი სარწმუნოების
მცველთ; და მაშინ ერთი ადგებოდა
მოწამეობრივ გზას.

კახეთის დედოფალი ქათევანი
იყო ჭეშმარიტი მაგალითი ქრის-
ტიანობისა, დედოფლობისა და
დედობისა; მის მაგალითზე საუკუ-
ნევის მანძილზე იზრდებოდა

თაობები ქართველებში.

წმინდა ქეთევანი
ლვთივკურთხეულ ბა-
გრატიონთა გვარის
წარმომადგენელი,
აშოთან მუხრან ბა-
გონის ასული გახლ-
დათ. ბაგრატიონები
თავიანთ წარმომავ-
ლობას ბიბლიურ
დავითს უკავშირებენ.


მემატიანენიც ასე ამკობენ მის
პიროვნებას: „ასული ესე დავითისა
განძანილ ღმერთ მყოფელითა საბა-
ნელითა, სწავლული სარწმუნოე-
ბითა, ჰსჯულდებულებითა, სწავ-
ლული სამღვდელოთა წერილითა
და სათხოებათა მომგები. ქალწული,
მორცხვი, ბრძენი, კეთილგონი-
ერებისა კმევითა, ქალი ნარნარი
და მხნე კეთილთა მოქმედებათადმი,
ყრმა მშვენიერი და უშმვენიერესი“.

კეთილგონიერი და მორწმუნე
ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდ-
რეს უფროს ვაჟზე, დავითზე დაა-



ქორწინებს. მეფე ალექსანდრეს დავითის გარდა კიდევ სამი ვაჟიშვილი ჰყავდა: გიორგი, კონსტანტინე და ერეკლე. კონსტანტინე ბავშვობიდანვე შაპ-აბასის კარზე იზრდებოდა და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა. 1601 წელს მეფე ალექსანდრე ბერად აღიკვეცა ალავერდის ტაძარში. ტახტზე დავითი ავიდა, მაგრამ ოთხიოდ თვეში, 1602 წელს კახეთის ახალგაზრდა მბრძანებელი მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქათუვანს დარჩა ქალ-ვაჟი - ელენე და თეიმურაზი.

უფალი თავის რჩეულ მონებს უხვად განუმზადებს ხოლმე განსაკრელთ, ჭირთ, რათა მათი მხებ ცხოვრება თვალსაჩინო მაგალითი გახადოს თანამედროვეთათვის, ხოლო თვითონ მათ არაამქვეყნიური შეუდარებელი დიდებით განადი-



დებს. შვილის სიკვდილის შემდეგ
ალექსანდრე კვლავ სამეფო ტახტს
დაუბრუნდა. შავ-აბასმა, როგორც
კი დავითის სიკვდილი და ალექსან-
დრეს დაბრუნება შეიტყო, თავის
კარზე აღზრდილ გამაჲმადიანებულ
კონსტანტინე-მირზას უბრძანა კა-
ხეთში დაბრუნება, მოხუცებული
მამისა და ლვიძლი ძმის, გიორგის
მოკვლა. გამხეცებულმა კონსტან-
ტინე-მირზამ შეასრულა ბრძანება,
მამისა და ძმის მოკვეთილი თავები,
ძვირფასი ძღვენივით, “მამობილს”
გაუგზავნა, გვამები კი აქლემს აკ-
კიდა და ალავერდს გაგზავნა და-
საკრძალად. ქეთევანმა პატივით
დაკრძალა მამამთილისა და
მაზლის ცხედრები. სისხლში გას-
ვრილმა კონსტანტინემ კი ქეთე-
ვანს ცოლობა სთხოვა:

— „შეგირთავ ცოლად და შენც
მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს
წესი და ჩვეულება სჯულად მაჲმა-
დისაც“.

ქეთევანმა კახეთის დიდებულები

იხმო, ყოველივე აუწყა და განუ-
ცხადა: — თუ სარწმუნოებას და
ქავების დირსების დაცვას ვარ
შეძლებთ, მე ქართლში, მუხრანში
დავბრუნდები.

დიდებულებმა ერთგულება შე-
ფიცეს დედოფალს, შეიკრიბნენ,
მიუვარდნენ სჯულისა და ტრადი-
ციების შემაგინებელს და ხიცი-
ცხლეს გამოასალმეს.

ქათევანმა ურწმუნო.
კონსტანტინეს გვამი
მისი გვარისთვის შე-
საფერი პატივით მია-
ბარა მიწას, შაჰს კი
დიდალი ძღვენი გაუ-
გზავნა და სთხოვა,
მეფედ თეიმურაზი
დაემზგიცებინა. მანა-
მდე კი თავად იტვირთა სამეფოზე
ზრუნვა.

წმ. დედოფალი ქათევანი განა-
გებდა სამეფო კარს და სათხო საქ-
მეებსაც აკეთებდა. უხვად გასცემდა
მოწყალებას, აპურებდა გლახაკო,



აღაშენებდა ეკლესია-მონასტერებს, განამრავლებდა მღვდელთა და ბერ-მონაზონთა; ცხოვრობდა განმარ-ტოებით და დიდის გულმოდგი-ნებით აღასრულებდა ლოცვით ღვაწლს. შაპ-აბასი შეშინდა; ფიქრობდა კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლო-ოდ დავკარგავო; ამიტომ სასწრა-ვოდ დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში უფლისწული თეიმურაზი. გაიხარა შვილის ხილ-ვით წმინდა დედოფალმა, გაიხარა მთელმა სამეფომაც ქრისტიანი უფლისწულის დაბრუნებით. მეფე იკურთხა და ქვეყანაში დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ახალ-გაზრდა მეფემ გურიელის ასული ანა შეირთო. მეფე-დედოფალს ორი ვაჟი — ლევანი, ალექსანდრე და ერთი ასული — თინათინი შეეძინათ. ანა დედოფალი მალე გარდაი-ცვალა. შაპის დაჟინებით თეიმუ-რაზმა ლუარსაბ II-ის და — ხორეშანი შეირთო ცოლად, შაპმა

კი ხორეშანის და – ელენე მოიყვანა.
ასე ცბიერებით „დაუმოყვრდა“
ქართლ-კახეთის სამეფოს; ქართლსა
და კახეთს შორის იგი მუდმივად
თესდა განხევთქილების ღვარძლს.
შაპ-აბასმა 1614 წელს ელჩი
გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთ-
გულების ნიშნად მძევლად შვილი
მოსთხოვა.

იცოდა თეიმურაზმა შაპის ვერა-
გობის ამბავი, მაგრამ დიდე-
ბულების დაჟინებით უმცროსი ვაჟი,
ალექსანდრე, მაინც გაგზავნა
სპარსეთში, თან წმინდა ქეთევანიც
გააყოლა; „ჰგონებდა
პატივისცემასა დედი-
სასა შაპ-აბასისაგან“.
შაპმა უფროსი შვილი,
ლევანიც გამოითხოვა,
ბოლოს კი თე-
იმურაზსაც შეუ-
თვალა:

„–რადგან ამისთა-
ნა ერთგული ხარ,
შენც მოდი და მნახე“.



აშკარა იყო შაპის განაზრახი:
კახეთის სამეფო კარისთვის თავი
მოეფარა და ერთიანად შეემუსრა.
ამის დათმობა უკვე აღარ
შეიძლებოდა. დროც არ ითმენდა.
მაშინ თეიმურაზი და ლუარსაბი
შეითქვნენ და ერთად სძლიერ
ჟალეთში დაბანაკებულ მტერს.

დაიწყო ქართლის ცხოვრების
უსაშინელესი პერიოდი. კახეთის
დასალაშქრად გამზადებულმა შაპ-
აბასმა ძვირფასი მძევლები –
წმინდა ქეთევანი და მისი შვილი-
შვილები – შირაზს გაგზავნა,
თვითონ კი კახეთს შეესია. ააოხრა
სამეფო კარი, შერყვნა ეკლესია-
მონასტრები,

გადაასახლა და დააცარიელა
სოფლები. ქვეყანა შიმშილმა და
ძალადობამ მოიცვა. უსჯულოებმა
ცეცხლს მისცეს კახეთი. სამასი
ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში
გადაასახლეს, გაუდაბურებულ
ქვეყანაში კი ულუსები ჩამოა-
სახლეს. დამარცხებული მეფეები

იმერეთის მეფეს, გიორგის შეეხო-
უნებ.

წმინდა ქათევანი შაპის ტყვეო-
ბაში იყო. ვინ მოხთველის წმინ-
დანის იმ ტანჯვას, რაც სამშობ-
ლოს, დედა-უკლესისა და ოჯახის
განმორებით იყო გამოწვეული.
შირაზს გადასახლებიდან ხუთი
წლის შემდეგ შაპმა ქათევანს
ჩამოაშორა თეიმურაზის ძენი,
ისპაპანს წაიყვანა და დაასაჭურისა.
ალექსანდრემ ტანჯვას ვერ
გაუძლო და გარდაიცვალა, ლევანი
კი შეიშალა. სამშობლოს ხვედრით
შეწუხებული წმინდა დედოფალი,
რომელმაც შვილიშვილების უბე-
დურება ჯერ არ იცოდა, შირაზის
მმართველის, გათათრებული
ქართველის იმამ-ყული-ხან უნდი-
ლაძის სასახლეში ცხოვრობდა.
ნაქართველარი თათარი დიდი
პატივით ეპყრობოდა ქათევანს და
ამბობდა: — დიდად საპატიო სტუ-
მარი არისო ჩვენი, ის კი არა, ჩვენ
ვართო მისი ტყვეები.

სწორედ მისი ბრძანებით დაუ-
მალეს წმინდა დედოფალს ბატონი-
შვილების – ლევანისა ალექსა-
ნდრეს საშინელი ამბავი. ათი წელი
იტანჯებოდა დედოფალი ამ „საპა-
ტიო“ ტყვეობაში; მარხვით, ლოცვით,
ქვაზე წოლით გაიღია მისი სხე-
ული. მაგრამ მაინც მხნედ იყო,
უკლიდა, ზრუნავდა და ზედ
დაჰვრცოფინებდა თავის სამწყელს –
მის გამგეობაში მყოფ ოცამდე
ქართველს.

და აი, დვთის განგებულებით
დადგა უამი დედო-
ფლის გამოცდისა.
„შემდგომ ათი წლისა
მისი ხელმწიფებად
მტერმან მისსა ზედა,
ყოვლად უბიწოსა“.
ხედავდა გულ-მრი-
სხანე შაპი, რომ
„უდრევ იყო დედო-
ფალი“, ისევ წმიდა
სამებას სასოებდა კახეთის მანა-
თობელი ვარსკვლავი, ჯვარცმულ



სწორედ მისი პრძანებით დაუ-
მალეს წმინდა დედოფალს ბატონი-
შვილების – ლევანისა ალექსა-
ნდრეს საშინელი ამბავი. ათი წელი
იტანჯებოდა დედოფალი ამ „საპა-
ტიო“ ტყვეობაში; მარხვით, ლოცვით,
ქვაზე წოლით გაიღია მისი სხე-
ული. მაგრამ მაინც მხნედ იყო,
უკლიდა, ზრუნავდა და ზედ
დაჰუროფინებდა თავის სამწყსოს –
მის გამგეობაში მყოფ ოცამდე
ქართველს.

და აი, დვთის განგებულებით
დადგა უამი დედო-
ფლის გამოცდისა.
„შემდგომ ათი წლისა
მისი ხელმწიფებად
მტერმან მისსა ზედა,
ყოვლად უბიწოსა“.
ხედავდა გულ-მრი-
სხანე შაპი, რომ
„უდრევ იყო დედო-
ფალი“, ისევ წმიდა
სამებას სასოებდა კახეთის მანა-
თობელი ვარსკვლავი, ჯვარცმულ



მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარ-
ცმულ ქვეყანას და ემზადებოდა
დიდი მისამართვის. უსჯულო აბასმა
გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლე-
ვინებინა ქეთევანისთვის. მისი
უზნეობა და თავხედობა იქამდევ
მივიდა, რომ მის ცოლობაზე თან-
ხმობა ითხოვა ზნესრული დედო-
ფალისაგან; ეს მოხდა სწორედ იმ
დღეს, როცა წმინდანს შეატყობინეს
შვილიშვილების ამბავი. შაჰმა იმამ-
ული-ხანს შეუთვალა:

— „ქეთევან დედოფალი თუ გა-
თათრდეს, ხურას აწყენ; თუ არა და
აწამე, წამებით მოჰკალიო“.

შეძრწუნდა უნდილაძე და მოცი-
ქულის პირით შეუთვალა:

— „ბერი დედაკაცია და არ გა-
თათრდება, რას აქნევ ამის გათა-
რებას, თქვენთვის სირცხვილიც კიდ
მისი სიკვდილი“.

შაჰ-აბასი განრისხდა, და ბრძა-
ნების მეყსეულად აღსრულება უბრ-
ძანა შირაზის ხანს. ხაქართველარი
შეევედრა დედოფალს, სხვის და-

სანახად მაინც ელიარებინა მაჟმადი,
გულში კი ქრისტიანად დარჩე-
ნილიყო. წმინდა ქათევანმა შორს
დაიჭირა უნდილაძის ოჩევა და
წამებისთვის განემზადა. ილოცა,
შვილი და მამული შეავედრა და
შევდაღადა უფალს:

— „მეუფეო ქრისტე, სიტყუათ
დვთისათ, არა შუენოდა მხევლისა
შენისად უარის ყოფად შენი, ნუ
მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა“,
ეზიარა მაცხოვრის ყოვლად-პატი-
ოსან და უხრწნელ ხორცსა და
სისხლს და უშიშრად
წარსდგა ჯალათების
წინაშე. ხალხით
გაჭედილ მოედანზე
გამოიყვანეს ქართვე-
ლთა სათაყვანებელი
დედოფალი; მას მგლ-
ოვიარე ქართველები
მოაცილებდნენ. ჯა-
ლათებმა მოიტანეს
სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეც-
ხლი, შეაწყვეს შანთები გასახურებ-



ლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დე-დოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი ითხოვა წმინდა მოწამემ:

— „დედის ნაშობნი ხართ თქვენც და ნუ შეურაცხმყოფთ სიში-შვლით“.

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა წმინდა დედოფალი; „განჭიმეს მძაფრიადრე ხელნი და მაჯანი გლახაკთა გამომზრდელნი, ხელნი მარად უბრალონი და წმიდად

აღპყრობილნი დუთი-სადმი, დაპგლიჯნეს მარწუხთა მიმართ ძუძუნი და დაპსდვეს წყლულთა მათ ზედა საჯნი, ლუსამარნი იყუნეს მრავალნი ქუეშე წმიდისა და მათ ზედა განრ-




თხმულ იყო და
ზედაცა დაპყარნეს
იგინიგე მრავალნი.
მაშინ ხორცნი იგი
წმიდისანი მრჩობ-
ლითა ივნებდეს ტკივი-
ლითა, რკინანი იგი
თვისით სატანჯუელ
იყუნეს და ცეცხლებრ სწვიდეს
საშინელ, რამეთუ ნა-ბერწყალთა
სროლადმდე განხურვებულ
იყუნეს. მაშინ იპობოდიან ხორცნი
ლუსმართაგანი და რაზომცა
განამწვეტიყუნეს, ეგრე ხორცთა
შინა განვლიდიან. იტყვს მეფე,
ხორცნი დაქცევნესო, რომელნი

აქუნდეს და მათ
წილ დასხდეს ლუს-
მარნი და ბრძულნი,
განავლნეს მკერდით
ზურგამდე შამფუ-
რნი. მაშინ ტკივი-
ლი სასტიკობდეს,
გრძნობანი ტკივილ-
თანი საშინელ-იყუ-



ნეს. გკრგზი მეფობად მშუენიერებისად და შარავანდედი სიკეთისა განიმზადებოდა მიცემად ხელისაგან უფლისა“. წმინდა სულმა დატოვა ნაგვემი სხეული. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმინდა დედოფლის გვამი, რათა შებილწულიყო მისი სიწმინდე, მაგრამ ღმერთმა წმინდანის ნეშტს ნათელი დაადგა. დიდ-მოწამის წმინდა გვამი დიდი პატივით, საკმევლისა და მურით გაჟღენილ ქსოვილში გახვიეს და რომში, კათოლიკურ ტაძარში გადაასვენეს ავგუსტინეს ორდენის ბერ-მონაზვნებმა, რომლებიც იმ ხანებში სპარსეთში იმყოფებოდნენ და მოწმენი და თვითმხილველნი გახდნენ წმინდა დედოფლალ ქათევანის მოწამეობრივი ღვაწლისა, მისი წმინდა ნაწილები





— პატიოსანი თავი
და მარჯვენა ხელი
— დედოფლის ძეს,
თეიმურაზ მეფეს გა-
დასცეს, რომელმაც
ისინი საქართველო-
ში ჩამოასვენა.

აქ კიდევ ერთხელ
დაიტირა თავისი დე-

და და ძენი მეფემ და დიდი პატივით
დაკრძალა ალავერდის მონასტერში,
წმინდა დიდმოწმე გიორგის სა-
კათედრო ტაძრის ტრაპეზის ქვეშ.
მალე ქართლის კათოლიკოს პატრი-
არქმა ზაქარიამ (1613-1630) წმინ-
დანთა დასში შერაცხა დიდ-მოწმე
დედოფლი ქეთევანი და ხსენება
მისი წამების დღეს 13(26) სექტემბერს
დააწესა.

